საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუკატი

დუკატი ოქრო ზემოთ – შუბლი ქვემოთ – ზურგი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი თბილისი

დუკატი (ლათ. ducatus), XII–XIX სს. ევროპული მონეტა.

ტერმ. „დ." ამ სახელწოდების მონეტის მოჭრამდეც იხმარებოდა. არსებულ მონეტებზე ბიზანტ. იმპერატორები თავიანთ გვარსახელებს აწერდნენ. ასე გაჩნდა „დრაჰკანი-დ." (მიქაელ VII დუკას ოქროს მონეტა).

დ. მოხსენიებულია ქართ. წყაროებშიც. ვერცხლის დ. პირველად მოჭრა სიცილიის მეფე – როჯერ II-მ (1140). ვენეციაში 1283–84 დოჟმა ჯოვანი დანდოლომ დაიწყო ოქროს დ-ის მოჭრა.

ვენეციური მონეტის მასაა 3,559 გ. დ-ის შუბლზე გამოსახულია ვენეციის რესპ. მფარველი წმ. მარკოზი, რ-იც მუხლმოყრილ დოჟს გადასცემს ალამს. გარშემო ლათ. ზედწერილია: მარცხნივ – „წმინდა მარკოზი ვენეციისა", მარჯვნივ – დოჟის სახელი და გვარი, ალმის ტარის გასწვრივ – „ჰერცოგი", ზურგზე გამოსახულია ვარსკვლავებით გარშემოვლებული ქრისტე და წრიული ზედწერილი: „ქრისტეს საჰერცოგო, რომელსაც განაგებ, დეე გებოძოს შენ" (XV– XVIII სს.).

საქართველოში მიმოქცევაში იყო ვენეციური, ჰოლანდიური და უნგრული დ-ები, რ-თაც უწოდებდნენ ფლურს, ჰოლანდიურ დ-ებს – ასლანსაც.

დ. აღმოჩენილია მდ. ლეხურის ხეობაში, ქუთაისში, ანანურში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ახალსოფელსა (სოხუმის მუნიციპალიტეტი) და სოფ. ირაგაში (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი). ინახება სხვადასხვა მუზეუმში.

ლიტ .: ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVIII სს., თბ., 1971; Р о з а н о в С., Золотые „Лобанчики“, «Труды отдела нумизматики Гос. Эрмитажа», т. 1, Л., 1945.

რ. ქებულაძე